2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიში

ახალი 2019-2020 სასწავლო წლის დაწყება სკოლა ანაბასისში საინტერესო ღონისძიებით აღინიშნა!

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან ედიბერიძემ 2018-2019 სასწავლო წლის შედეგების შეჯამების შემდეგ გზა დაულოცა ანაბასისელებს და წარმატებული სასწავლო წელი უსურვა მათ!

წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით. ანაბასისის წარმატებულმა კურსდამთავრებულებმა ლუკა სამხარაძემ და ზურა შერგელაშვილმა ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს სკოლის აღსაზრდელებს და მათ პედაგოგებს.

ღონისძიება გაფორმებული იყო მუსიკალური ნომრებით თეა მიქაბერიძის ხელმძღვანელობით!

2019 წლის 28 სექტემბერს სამეცნიერო პიკნიკის ფარგლებში, სპეციალურად გაშლილ კარვებში/პავილიონებში ჩატარდა საინტერესო ექსპერიმენტები და ინტერაქციული გამოფენები, მასტერკლასები და სახალისო კონკურსები სხვადასხვა მიმართულებებით. პიკნიკზე ნორჩმა ანაბასისელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და დიდი მოწონება დაიმსახურეს.

სამეცნიერო პიკნიკი ჩატარდა ქუთაისშიც,რომელშიდაც აქტიურად მონაწილეობდა სკოლა ანაბასისის ნორჩი მკვლევარები.

აღნიშნული ღონისძიების მთავარი ამოცანაა სახალისო ფორმით წარმოაჩინოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები.

პედაგოგები ქეთევან ედიბერიძე და მარინა ხუსკივაძე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კულტურისა და შემოქმედების ცენტრში ღონისძიება გაიმართა, სადაც სკოლების მიერ წარდგენილი საუკეთესო პედაგოგები დაჯილდოვდნენ . სკოლა ანაბასისიდან საუკეთესო პედაგოგად მუსიკის პედაგოგი თეა მიქაბერიძე იყო წარდგენილი. ვულოცავთ ქალბატონ თეას ღირსეულ ჯილდოს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს თავის მოსწავლეებთან ერთად.

2019 წლის 4 ოქტომბერს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი მერვე კლასში საინტერესოდ და შემოქმედებითად ჩატარდა. მოსწავლეები გაეცნენ "იკებანას" ხელოვნებას, რომელსაც 500 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს იაპონიაში. პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე.

17 ოქტომბერს სკოლა “ანაბასისში“ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ჩაატარდა.

სკოლის თვითმმართველობის არჩევნების ჩასატარებლად მზადება 20 სექტემბრიდან დაიწყო. მოსწავლეებს სპეციალურად მომზადებული „ინსტრუქცია“ დაურიგდა. კენჭისყრის პროცესის სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებისათვის შეიქმნა და მოსწავლეებით დაკომპლექტდა საარჩევნო კომისია. არჩევნები ჩატარდა VI-XII კლასებში და თითო კლასიდან შეირჩა ორი გამარჯვებული კანდიდატი, რომლებიც სკოლის თვითმმართველობის წევრები გახდნენ.

სკოლის თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მიზანი სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს დაკომპლექტებასთან ერთად არჩევნების შესახებ სკოლის მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და მათში საარჩევნო კულტურის ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობაა.

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თინათინ ტალახაძე.

21.10.2019წ. სკოლა ანაბასისში წარმატებით ჩატარდა ტვინების ბრძოლა-შიდა სასკოლო ინტელექტუალური თამაში.

2019 წლის 23 ოქტომბერს სკოლა ანაბასისის მკვლევართა კლუბმა და კლუბმა ანაბასისის ქიმიკოსებმა მოლის დღე აღნიშნეს. მოსწავლეებმა წარმოადგინეს საინტერესო პრეზენტაციები ავოგადროს ბიოგრაფიაზე, მოლზე, ავოგადროს რიცხვზე, მოლურ მოცულობაზე. პრეზენტაციები წარმოდგენილი იქნა ინგლისურ,რუსულ და ქართულ ენაზე.

კლუბის კურატორები ქეთევან ედიბერიძე და მარინა ხუსკივაძე.

24.11.2019წ.ქ.ზესტაფონში გამართულ გურამ თურქაძის საჭადრაკო ტურნირზე მონაწილეობა მიიღო ანაბასისის სკოლის 49 მოსწავლემ.ტურნირი გაიმართა გოგონათა და ვაჟთა შორის, ორ ასაკობრივ ჯგუფში.10 წლამდე ვაჟთა შორის პირველი ადგილის მფლობელი გახდა 8 წლის მათე მანაგაძე,მეორე ადგილი დაიკავა-იოსებ გოგნაძემ,მესამე-დავით მესხმა.

10 წლამდე გოგონათა შორის მეორე ადგილზეა-ლიზი კოსინენკო,მესამეზე-თინათინ ჯუღელი

14 წლამდე ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა-ცოტნე ნებიერიძემ.

14 წლამდე გოგონათა შორის პირველ ადგილზეა-თინათინ კუპატაძე,მეორეზე- მარიამ ფერაძე,მესამეზე-ელენე ჩუბინიძე.ჩემს მოსწავლეებს ვულოცავ გამარჯვებას და ვუსურვებ ახალ წარმატებებს.

ტურნირის გამარჯვებულის თასი გადაეცა ანაბასისის სკოლას.

ვულოცავთ ქალბატონ ვიოლეტას გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს თავის მოჭადრაკეებთან ერთად.

25.11.2019წ. ტრადიციული ანაბასისობა და შემოდგომის ზეიმი ძალზე საინტერესოდ და შემოქმედებითად წარიმართა,მასში აქტიურად იყო ჩართული მთელი სასკოლო საზოგადოება.

ნოემბერში ანაბასისის მე-6 კლასის წარჩინებული მოსწავლე ანასტასია ჯაფარიძე ლიეტუვაში წარმატებულად წარსდგა მაყურებლების წინაშე!

ანასტასია სწავლობს რ. ლაღიძის სახ. სამუსიკო სკოლის მე -5 კლასში,პედ.ნინო წერეთელი .

ანასტასიამ მონაწილეობა მიიღო ლიეტუვის ქ. ტაურაგეში გამართულ კონცერტში ,,მუსიკალური შემოდგომა" . ქ. შაულიაიუს კამერულ ორკესტრთან ერთად მან შეასრულა ჰაიდნის საფორტეპიანო კონცერტი რე მაჟორი I ნაწ. და ლიეტუველი მსმენელის მოწონება და ოვაციები დაიმსახურა!

ანაბასისის ინტელექტუალური კლუბი სისტემატიურად ატარებდა შეხვედრებს,რომელსაც მასწავლებელტან ერთად ორგანიზებას უწევდნენ სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეები.

მეთერთმეტე კლასის მოსწავლე მარიამ ჭანტურიძემ მეშვიდე კლასის ინტელექტუალებს ძალიან საინტერესო და სახალისო თამაში შესთავაზა და დიდი მოწონება დაიმსახურა.

7.11.2019წ.სკოლა ანაბასისის მეხუთე კლასში რუსუდან გურგენაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა სოციალური პროექტი სახელწოდებით: ,,ენტერობიოზი“.

პროექტის პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ ზესტაფონის ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომლები,პარაზიტოლოგი ქალბატონი რუსუდან ბაბუაძე და ქალბატონი მადონა გველესიანი.

პრეზენტაციის ბოლოს გაიმართა დისკუსია,რომელშიც მოსწავლეებთან ერთად აქტიურად ჩაერთვნენ მოწვეული სტუმრები.

სკოლა "ანაბასისის" VII კლასის მოსწავლეები ინტერესით გაეცვნენ ქართული ხელნაწერების მიხედვით შედგენილ წიგნს "ჩემი პირველი ბიბლია".

მოსწავლეებმა ლამაზად ილუსტრირებულ წიგნში წაიკითხეს მათთვის გასაგები ენით დაწერილი ძველი და ახალი აღქმის მშვენიერი ამბები ,სადაც საუბარია კაცთმოყვარეობის, სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის შესახებ.

წიგნის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებმა დიდხანს ისაუბრეს და ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებები. ხელმძღვანელი ბიბლიოთეკის გამგე თამარ გვალია.

საქართველოს ისტორიის,კულტურის და ღირსშესანიშნაობათა უკეთ გაცნობის მიზნით მე-5 კლასში ჩატარდა წიგნის „იმერეთი“ განხილვა,რომელიც გამოცემულია სერიით „ჩემი საქართველო - ის,რც ერთხელ მაინც უნდა ნახო“.

მოსწავლეები დიდი ინტერესით გაეცვნენ შესანიშნავი ილუსტრაციებით აკინძულ წიგნ-ალბომს,რომელიც ქართულ და ინგლისურ ენებზე გვაწვდის იმერეთის მუნიციპალიტეტების მრეწველობის,სოფლის მეურნეობის,კულტურის შესახებ ინფორმაციებს და გამოთქვეს სურვილი შემდგომში მოინახულონ მათთვის საინტერესო ადგილები საყვარელ იმერეთში. ხელმძღვანელი ბიბლიოთეკის გამგე თამარ გვალია.

" ჩვენ, ჩვენი ქალაქი და შემოდგომა" -ასეთი სახელწოდებით ჩატარდა წარმატებული,საინტერესო და სახალისო საკლასო პროექტი ანაბასისის III კლასში,სადაც მოსწავლეებმა აუდიტორიის წინაშე წარმოადგინეს საკუთარი თავი და მშობლიური ქალაქი წელიწადის დროების მიხედვით.პროექტის დასასრულს მოსწავლეებმა გააკეთეს კედლის გაზეთის პრეზენტაცია. პედაგოგი მარინა ჭულუხაძე.

2019 წლის 21 ნოემბერს სკოლა ანაბასისის v კლასში ჩატარდა სამოდელო გაკვეთილი ბუნებაში თემაზე: "ცხოველთა ქცევა".

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.პედაგოგი რუსუდან გურგენაშვილი.

2019 წლის 26 ნოემბერს სკოლა ანაბასისის III ბკლასში ჩატარდა სამოდელო გაკვეთილი ქართული ენასა და ლიტერატურაში თემაზე: „ფრინველების მოგზაურობა“ ი. გოგებაშვილის მიხედვით.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით. პედაგოგი თამარ ვეფხვაძე.

2019 წლის 29 ნოემბერს სკოლა ანაბასისის III ბკლასში ჩატარდა სამოდელო გაკვეთილი ქართული ენასა და ლიტერატურაში თემაზე: „მოკლე გზა“ ვლ. ასლამაზიშვილი.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი. გაკვეთილი დატვირთული იყო სახალისო, საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით. პედაგოგი თამარ ვეფხვაძე.

ანაბასისის სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მორიგ სხდომაზე სამუშაო გეგმის განხილვის და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვის შემდეგ მოხდა იმ მოსწავლეების დაჯილდოება,რომლებმაც საქართველოს ეროვნული ინტელექტ ჩემპიონატის "ეტალონის" პირველ ტურში წარმატებით იასპარეზეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში გამართულ "ეტალონის" ფინალურ ტურში საუკეთესო ათეულში მოხვდნენ ანაბასისის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები ლიზი სამხარაძე და ნინი შერგელაშვილი. კიდევ ერთხელ ვულოცავთ მათ ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

ზესტაფონსა და ჭიათურაში „ჯორჯიან მანგანეზის“ ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა ხატვის კონკურსი სახელწოდებით - „ჩემი ქალაქი წელიწადის ყველა დროს“ .

კონკურსში აქტიურად მონაწილეობდნენ სკოლა ანაბასისის მოსწავლეები: თამარ კაპანაძე,მაია მესხი,ნია ცერცვაძე,ქეთი ღონღაძე. მათ საინტერესოდ და შემოქმედებითად წარმოადგინეს მშობლიური ქალაქი წელიწადის სხვადასხვა დროს თავიანთ ნამუშევრებში.

65 კონკურსანტს შორის,კომპეტენტურმა ჟიურიმ 7 საუკეთესო ნახატის ავტორი გამოავლინა,რომელთა ნამუშევრები "ჯორჯიან მანგანეზის" 2020 წლის კალენდარზე იქნება წარმოდგენილი.

სასიხარულოა ის ფაქტი,რომ გამარჯვებულ შვიდეულში დასახელდა ანაბასისის მერვე კლასის მოსწავლე თამარ კაპანაძე,(ხატვის პედაგოგი ნანა გიორგაძე). მან თავისი ქალაქი გაზაფხულის ლამაზ ფერებში მოქარგა და ჟიურის დიდი მოწონება და ფულადი ჯილდო დაიმსახურა.

ვულოცავთ თამარს გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

2019 წლის 3 დეკემბერს, სკოლა ანაბასისში დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების მიერ ორგანიზებული პროექტის „ზესტაფონის ეკონომიკის და ბიზნესის განვითარება“ შიდა სასკოლო პრეზენტაცია მოეწყო. მასში მონაწილეობას იღებდნენ მერვე, მეცხრე , მეათე, მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები.

ანაბასისელებმა საინტერესოდ გააცნეს დამსწრე საზოგადოებას თავიანთი იდეები და განხორციელების გეგმები ზესტაფონის ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების კუთხით. კომპეტენტური ჟიურის და დამსწრეთა გადაწყვეტილებით გამოვლინდა 2 გამარჯვებული, რომლებმაც მიიღეს 100% იანი დაფინანსება ბაქოს ტურზე იანვრის თვეში.

6-7 დეკემბერს ექსპოჯორჯიას საგამოფენო ცენტრში კომაროვის სკოლისა და ექსპოჯორჯიას ერთობლივი პროექტი - კომაროვის მათემატიკის მესამე ფესტივალი გაიმართა!

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 100-მდე სკოლის გუნდმა ორ კატეგორიაში; I კატეგორიაში მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეებმა, II კატეგორიაში მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებმა (გარდა კომაროვის, ვეკუას, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის გუნდებისა). ნახევარფინალის შემდეგ ორივე კატეგორიაში გამოვლინდნენ ფინალისტები..

7 დეკემბერს გაიმართა ფინალი,სადაც ჩვენმა ნორჩმა ანაბასისელებმა ცოტნე ბუბულაშვილმა , ცოტნე ნებიერიძემ, ავთანდილ აბესაძემ, თამარ კაპანაძემ ღირსეულად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები და ასახელეს საკუთარი სკოლა,პედაგოგები,ოჯახი და რეგიონი.

წარმატებები მათ თავიანთ პედაგოგთან ერთად.

11.12.2019წ. ანაბასისის მოსწავლეთა გუნდმა ინტელექტუალურ კონკურსში ,,რა, სად, როდის 2019 "გასული წლის შედეგი გაიმეორა . მონაწილე სკოლის გუნდებს შორის პირველი ადგილი ღირსეულად დაიკავა და ფულადი პრიზით დაჯილდოვდა! ვულოცავთ ანაბასისის ინტელექტუალებს რომან ნიქაბაძეს,სანდრო სვიანაძეს,ნინო ტალახაძეს,ირაკლი მდინარაძეს, ქეთი ფანცხავას,თეიმურაზ გოგიაშვილს მორიგ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

აღსანიშნავია ანაბასისელი გაგა ჯუღელის მორიგი წარმატება, ქალაქ რიგაში ევროპის პირველობაზე სამბოში კადეტებს (15-16 წლის ასაკი) შორის.ის მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა. გაგას პირადი მწვრთნელი ბატონი კობა სვიანაძე კმაყოფილია მიღწეული შედეგებით და დიდ იმედებს ამყარებს თავის ახალგაზრდა სპორტსმენზე. კიდევ მრავალი გამარჯვება გვეზეიმოს ერთად!

2019 წლის 24 ნოემბერს ქალაქ თბილისში კულტურის ცენტრ მუზაში ჩატარდა მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი "აპოლონი", სადაც წარმატებით წარსდგა სკოლა ანაბასისის მოსწავლეთა გუნდი,ხელმძღვანელი თეა მიქაბერიძე. ფესტივალზე მონაწილეები დაჯილდოვდნენ დიპლომებით.

გუნდი მიწვეული არის საერთაშორისო კონკურსზე აზერბაიჯანში, ქ.ბაქოში,2020 წლის მაისის თვეში.

ვულოცავთ ჩვენს მომღერლებს თავიანთ პედაგოგთან ერთად ღირსეულად გამოსვლას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

12.12.19წ. ჭადრაკის სწავლებას დიდი ყურადღება ექცევა სკოლა ანაბასისის დაწყებით კლასებში. ბავშვები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და ხშირად იკავებენ საპრიზო ადგილებს,რაც მათი პედაგოგის ვიოლეტა შეყილაძის დამსახურებაა.

სწორედ ნორჩი მოჭადრაკეების ინტერესის გათვალისწინებით ბიბლიოთეკის გამგემ თამარ გვალიამ მეოთხე კლასში(ხელმძღვანელი ეკა ჯიმშიაშვილი) ჩაატარა ცნობილი მოჭადრაკის ,მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის ავტობიოგრაფიული წიგნის "არსი ჩემი ცხოვრებისა" - განხილვა. მოსწავლეები გაეცვნენ ქალბატონი ნონას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან მომენტებს,გაიგეს ბევრი რამ ჭარდაკისა და მოჭადრაკეების შესახებ. პატარები ინტერესით გაეცვნენ ნონა გაფრინდაშვილზე დაწერილ თენგიზ გიორგაძის წიგნებს: "ტახტზე მესამედ ავიდა","ქარტეხილი ჭარდაკის სადედოფლოში","დედოფალი ულოცავს დედოფალს".

წიგნების პრეზენტაციის შემდეგ პატარებმა ისაუბრეს წაკითხულის შესახებ და ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებები.

სკოლა ანაბასისის მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მაკჯორჯიას თეატრალურ ფესტივალზე, სადაც ისინი მიწვეული იყვნენ როგორც ახალგაზრდული ჟიურის წევრები.

ნიჭიერებისა და წარმატების ზეიმი ანაბასისში.

სკოლა ანაბასისის დირექციის და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით 2019 წლის 12 დეკემბერს კიდევ ერთ ლამაზ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი - ,,ერთად ვიზეიმოთ წარმატება! "

სასკოლო საზოგადოების წინაშე წარსდგნენ მოსწავლეები, რომლებმაც თავიანთი ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით სკოლის გარეთ გამართულ ღონისძიებებში მიაღწიეს წარმატებას და ღირსეულად წარმოაჩინეს საკუთარი თავი და მშობლიური სკოლა. სიმბოლურად წითელ ხალიჩაზე იდგნენ ანაბასისელები - მუსიკის საერთაშორისო ფესტივალ ,,აპოლონში" გამარჯვებულები, იტალიაში გამართული სამუსიკო ფესტივალის მონაწილე, ევროპის ფინალისტი სამბოში, რაიონში გამართული ჭადრაკის ჩემპიონატის გამარჯვებულები, მათემატიკური ფესტივალი 2019 რესპუბლიკის მასშტაბით მე-3 ადგილის მფლობელი და რეგიონის საუკეთესო გუნდი , ჯორჯიან მანგანეზის ინიციატივით გამართული ხატვის კონკურსის გამარჯვებული, დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების მიერ ორგანიზებულ კონკურში საუკეთესო პროექტების ავტორები, ეროვნული ოლიმპიადის მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, რა, სად, როდის 2019 პირველი ადგილის მფლობელი გუნდი. წარდგენის შემდეგ მოსწავლეებმა საზეიმოდ გაჭრეს ტორტი, რომელსაც ეწერა ,,ნიჭი, ძამიკო, ნიჭი”. სკოლა ანაბასისი ამაყობს თავისი აღზრდილებით და კიდევ მრავალ წარმატებას ელოდება თავისი ნიჭიერი და მოტივირებული მოსწავლეებისაგან!

მსგავსი სახის ღონისძიებები ხელს უწყობს სასკოლო კულტურის განვითარებას.

სასკოლო კულტურა ყალიბდება ადამიანების გამოცდილების შედეგად და წარმოადგენს სკოლის წევრების მიერ გაზიარებულ ფასეულობებსა და ქცევის წესებს,რომელიც აღიარებულია სკოლის წევრთა უმრავლესობის მიერ.

ანაბასისი ნამდვილად არის "მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოსწავლეებში მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდაა... რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას" (დიმიტრი უზნაძე).

15.12.19წ.სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა თითქოს აშკარაა. უბრალოდ მოუშვით ონკანი...მაგრამ რას იზამთ , ასეთი წყალი რომ გათავდეს? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დაისახეს მიზნად

ნორჩმა მკვლევარებმა კლუბის მეცადინეობაზე. მათ ჩაატარეს ექსპერიმენტი - მოახდინეს წყლის გაწმენდა და შეისწავლეს ნახშირის თვისებები. კლუბის მეცადინეობა საინტერესოდ წარიმართა. კლუბის კურატორი ქეთევან ედიბერიძე.

18 დეკემბერს "მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი" ასეთი სახელწოდებით გაიმართა მირზა გელოვანის ხსოვნისადმი მიძღვილი ლიტერატურული საღამო ანაბასისში. პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე

22 დეკემბერს კლუბ ანაბასისის ქიმიკოსების მორიგ შეხვედრაზე პროექტის ბიოპლასტმასების გეგმის განხილვა მოხდა. მოსწავლეები გაეცვნენ საინტერესო ფაქტებს ბიოპლასტმასების შესახებ და ჩაატარეს ექსპერიმენტი - სახამებლიდან ბიოპლასტმასის მიღება. ექსპერიმენტი შედარებით დიდ დროს მოითხოვს . კლუბის წევრები კვლევას ამ მიმართულებით შემდეგ გაკვეთილზეც გააგრძელებენ. კლუბის კურატორი ქეთევან ედიბერიძე

სკოლა ანაბასისში მოსწავლეთა თვითმმართველობის ხელმძღვანელობით გაიმართა ტრადიციული საქველმოქმედო აქცია სახელწოდებით "სიკეთე გადამდებია" , აქციაში აქტიურად ჩაერთო სკოლის ყველა კლასი. შეგროვებული ტანსაცმელით, სათამაშოებით, სხვადასხვა სახის ტკბილეულით და საკვები პროდუქტებით დავეხმარეთ მათ, ვისაც ჩვენი გვერდით დგომა სჭირდება. "ჭეშმარიტი სიკეთე უსაზღვროა!"

დიდ მადლობას ვუხდით ჩვენის სკოლის აღსაზრდელებს და მათ მშობლებს თანამშრომლობისა და გულისხმიერებისთვის!

2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრი ანაბასისის ტრადიციული საახალწლო ღონისძიებით დასრულდა,რომელმაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ანაბასისის მოსწავლეებთან ერთად მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს ქალბატონ თეა მიქაბერიძეს და ბატონ გოგი ქლიბაძეს.

მრავალ შობა-ახალწელს გვეზეიმოს ერთად ბედნიერად და წარმატებებით სავსეს!!!